198 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ხუთშაბათი, სექტემბრის 2 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

კანტორისაგან.

ბელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"

ეღირება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი უველგან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს **800 მ.** ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში 130 მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიად არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება

და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს,

რომ 1920 წ. 15 სექტემბერს დილის 12 საათზედ მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით

საჯარო ვაჭროგით იჯარით გაიცემა 1 წლის ვადით

ქ. ტფილისში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში ხორცის და ცხიმის ჩაბარება. დაწვრილებით ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში ბარიათინსკის ქუჩა № 10 დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

869 3—2

ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო ამით აცხადებს

რომ ორშაბათს 6 ენკენისთვეს ამა წლის ქ. ბორჯომში სამმართველოს კანტორის ბინაზე დილის 10 საათზე

დანიშნულია ზეპირი შეჯიბრება

ლიკანის ბაღში ხეხილის მოსავლის იჯარით გაცემაზედ. შეჯიბრება დაიწყება **100.000** მანეთიდან. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთ ევალებათ სამმართველოს სალაროში წინ და წინ შეიტანონ ერთი მესამედი შეფასებულ თანხისა. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე სამმართველოში.

868 3—3

განცხადება მიწათ-მოქმედების სამინისტროდან.

1) ტფილისის კულტურულ-ტექნიკური საშუალო სასწავლებელი გადაკეთებულია საშუალო სამეურნეო სასწავლებლად და ექნება შემდეგი განყოფილებანი: 1) მემინდვრეობის, 2) მესაქონლეობის, 3) მებაღეობის, 4) გიდროტექნიკური და 5) მეტყეობისა.

პირველ კლასში მიიღება მოწმობით უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლაში ან 4 კლასიან პროგიმნაზიაში სწავლა დამთავრებულნი, ორივე სქესის პირნი. ვისაც აღნიშნული მოწმობა არა აქვს, მათთვის დანიშნული იქნება გამოცდა. არა ქართველთათვის შეიძლება გახსნილი იქნეს პარალელური განყოფილება.

2) ქუთაისის სამეურნეო სკოლა გადაკეთებულია საშუალო სამეურნეო სასწავლებლად და ექნება ორი განყოფილება: 1) მემინდვრეობის და 2) მებაღეობის.

პირველ კლასში მიიღება მოწმობით უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლაში ვისაც ზემოაღნიშნული მოწმობა არ აქვს, მათთვის იქნება დანიშნული გამოცდა. სასწავლებელს პანსიონი იქნება გახსნილი.

3) წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლა გადაკეთებულია ოთხკლასიან სასოფლო-სამეურნეო სკოლად.

პირველ კლასში მიიღება მოწმობით პირველ დაწყებითი სკოლაში სწავლა დამთავრებულნი არა ნაკლებ 14 წლისა. სკოლასთან პანსიონი იქნება გახსნილი.

4. ლანჩხუთში დაარსდა ოთხკლასიანი სასოფლო სამეურნეო სკოლა ნ. ეორდანიას სახელობაზე.

პირველ კლასში მიიღება მოწმობით პირველ-დაწყებითი სკოლა დამთავრებულნი არა ნაკლებ 14 წლისა.

სწავლა სამეურნეო სასწავლებელში დაიწყება არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა.

თხოვნის მიღება დაიწყება 1 ენკენისთვიდან. სათანადო სასწავლებლების მიერ, საიდანაც დაწვრილებითი ცნობების მიღებაც შეიძლება.

2547 2—1

ოზურგეთის სამაზრო ეროვნების გამგეობა

იწვევს საგნების და ენების სრულ უფლებიან მასწავლებლებს ჩოხატაურის საერობო გიმნაზიისთვის. აგრეთვე იწვევს გამგეებს და მასწავლებლებს მაზრის საერობო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის. მასწავლებლები მიიღებენ (გიმნაზიაშიაც) გარდა შტატის ჯამაგირისა, ბინას და გათბობა განათებასაც. თხოვნები საბუთებით უნდა გადმოგზავნოს ოზურგეთში, სამაზრო ეროვნების გამგეობაში.

866 5—3

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

სახელმწიფო ბანკის მმართველისა.

28 აგვისტო, 1920 წ.

დანიშნა: სახელმწიფო ბანკის უმცროსი საქმის მწარმოებელი სევერიანე სამსონის ძე კეკელიძე იმავე ბანკის ნაწილის გამგის უმცროს თანაშემწეთ ამა წლის 15 აგვისტოდან.

ბანკის მმართველი **იასონ ლორთქიფანიძე.**

—

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა.

16 აგვისტო, 1920 წ., № 43.

გამწესებულნი არიან: ყოფილი მოხელე მარიამ ხოშტარია მეორე ხარისხის მოხელეთ პირველ სამოქალაქო განვოფილებაში, ყოფილი ფოსტალიონი გრიგოლ გვაზავა და მოქალაქე ამბროსი გრიგოლაშვილი მეორე კატეგორიის ფოსტილიონებად: გვაზავა ბათომში და გრიგოლაშვილი აბასთუმანში; მოქალაქე მართა კანდელაკი ლიდია მინაევა ადელაიდა უნგერნშტენბერგი, მარიამ-როზალია მამულოვა, ვალენტინა სუსანა ზდანკევიჩი და ყოფილი ფოსტალიონი აკვილინა ხარაძე მე-6 ხარისხის მოხელეებათ: კანდელაკი სოხუმში, მინაევა ფოთში; უნგერნშტენბერგი, მამულოვა და ზდანკევიჩი ბათომის ტელეფონის ქსელზე და ხარაძე ტფილისის საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელზე; მამულოვა 9 ივნისიდან, უნგერნ-შტენბერგი და ზდანკევიჩი 15 ივლისიდან, გვაზავა 1 აგვისტოდან; ხოშტარია და ხარაძე 11 აგვისტოდან; გრიგოლაშვილი, კანდელაკი და მინაევა 16 აგვისტოდან 1920 წლისა.

დანიშნულნი არიან: ტფილისის ტელეფონის ქსელის მე-6 ხარისხის მოხელე თამარა ჯაჯანოვა მეხუთე ხარისხის მოხელეთ საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელზე; მეოთხე ხარისხის მოხელე ზესტაფონის კანტორისა ვალერიან კეკურიძე იმავე კანტორის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; არდაგანის კანტორის უფროსი ვლადიმერ ნიკოლაიშვილი მეოთხე ხარისხის მოხელეთ სამტრედიაში; მეორე კატეგორიის ფოსტალიონი იოსებ პატარაქალოვი პირველ კატეგორიის ფოსტალიონათ თელავის კანტორაში, გორის მეორე კატეგორიის ფოსტალიონი დიმიტრი თულაშვილი პირველი ფოსტალიონათ იმავე კატეგორიაში, უფროსი მექანიკოსი ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა ილია ჭელიძე ბათომის ტელეფონის ქსელის გამგეთ; ხაშურის მეოთხე კლასის კანტორის უფროსი ლავრენტი გაჩეჩილაძე ბათომის პირველი კლასის კანტორის უფროსის თანაშემწეთ; ზესტაფონის მეოთხე კლასის კანტორის უფროსი აბო საყვარელიძე ბათომის პირველი კლასის კანტორის უფროსათ, უდეს განყოფილების უფროსი ვლადიმერ ყანჩაველი არტანის მეხუთე კლასის კანტორის უფროსათ; ტფილისის მესამე ხარისხის მოხელე ალექსანდრე თოხაძე, ახალციხის მესამე ხარისხის ლუკა ქურქჩიბაშევი განყოფილების უფროსებათ: თოხაძე ჩაქვაში ქურქჩიბაშევი უდეში; ჭიათურის კანტორის უფროსს თანაშემწე ივანე ხანთაძე, ტფილისის მეხუთე ხარისხის მოხელე ლევანტი კაკავა და ახალ-ქალაქის მეხუთე ხარისხის მოხელე პეტრე მეტრეველი მეექვსე კლასის კანტორის უფროსებათ: ხანთაძე ქობულეთში, კაკავა არდანუჩში და მეტრეველი ართვინში; ფოსტა - ტელეგრაფის მოხელეები: ტფილისის ფოსტის სიმონ გალუსტოვი, ტფილისის ტელეგრაფის ტროფიმე ინასარიძე და გიორგი ბურდული, სამტრედიის მეოთხე ხარისხის სერგო ხოხიაშვილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ: გალუსტოვი და ინასარიძე პირველი ხარისხებით ბათომში, ხიხიაშვილი მესამე ხარისხით ქუთაისში ბურდული მეოთხე ხარისხით ტფილისის ტელეგრაფში. ჯაჯანოვა 11 აგვისტოდან, კაკაურიძე, ნიკოლაიშვილი, ყანჩაველი, ქურქჩიბაშევი, ხოხიაშვილი და ბურდული 16 აგვისტოდან პატარქალოვი და თულაშვილი, კაკავა და გალუსტოვი პირველ აგვგსტოდან, დანარჩენნი შვიდნი 7 ივლისიდან 1920 წლისა.

გადაყვანილნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები. სამტრედიის მეოთხე ხარ. ივლიანე წილოსანი მეხუთე ხარ., სეროპ აზნაურიანცი, გიორგი ბელიავსკი, პეტროს ალაჯანოვი, მარიამ ლომინაძე, ანნა ნაუმოვა, მეექვსე ხარ. ლიდია ალაჯანოვა და კარლბომი, ქუთაისის: პირველი ხარ. ვილგელმინა რეკაჩი, ალექსანდრე ავალოვი. ივანე ტერმიკირტიჩიანცი, მეორე ხარ., ლევან ქარუმიძე და მეხუთე ხარ.. ნატალია პრიბილოვა, ფოთის მეორე ხარ. ალექსანდრე თოდოროვი, ნიკოლოზ სულაძე, ირაკლი შოთაძე, მესამე ხარ. ზაქარია-ვლადიმერ ალექსანდრია, მეოთხე ხარ. ნინო გვალია შულავერის მე-6 ხარ. დავით ხარაბაძე, თელავის მე-6 ხარ. კონსტანტინე შიუკოვი ტფილისის ტელეგრაფის კანტორის პირველი ხარისხის იაკობ გაბუნია, მე-2 ხარ· კონსტანტინე გლაშჩინსკი, მესამე ხარ. ლევან ღლონტი, მე-4 ხარ.: ვალენტინა ბოლქვაძე, გიორგი დოლიძე, მარიამ ტატიევა, ელისაბედ იანქოშვილი, ფიცხელაური, მე-5 ხარ. პროკოფი კილაძე, ნინა შარაბიძე, მიხეილ ბახჩიევი, ლევან ხუცუნაშვილი, ქეთევან ჯავახოვა, მე-6 ხარ. პანტელეიმონ ბარნაბოვი, ივანე კომახიძე, ვასილ ბერულავა და დავით ჭანტურია, ტფილისის ფოსტის მე-4 ხარისხის: იესე ხავთასი და სამსონ ცენტერაძე, სუფსის მე-6 ხარისხის ალექსანდრე სურგულაძე, ტფილისის პირველ განყოფილების მეხუთე ხარ. ზინაიდა ვოროჟებსკაია, ტფილისის მეხუთე განყოფილების მეოთხო ხარისხის ოლღა წერეთელი, ტფილისის სამოქალაქო ტელეფონის ქსელის მეოთხე ხარ. თამარ გამრეკელი, მეხუთე ხარ. მარიამ ბეჟანოვა, ვანდა წერეთელი, მარიამ სტავინსკაია, ნინო გამრეკელი, ნინო ლისიციან და თამარ ციანქოშვილი მეექვსე ხარისხის: ნინო ანანიევი, ნინო ჭყონია, აგათი სტურუა, თამარა რობაქიძე, ევგენია ანანიაშვილი, შუშანიკა დემუროვა, თამარა მჭედლიშვილი, მარია ღლონტი, ელისაბედ ინაშვილი, თამარა ვაჩნაძე, ბარბალე არონიშიძე, ქუთაისის ტელეფონის ქსელის სლომონიდა უშვერიძე და ფოსტალიონები: ტფილისის ფოსტის კანტორის: შალვა მიქაია, გერმანე ჟღენტი, აქვსენტი ბოხუა, მიხეილ ბოლქვაძე, დიმიტრი ზურაბაშვილი, რაჟდენ ბაბილოძე, ვარლამ ჩხაიძე, კალისტრატე გოგოტიშვილი, გაბრიელ ლომინაძე, ივანე ამუღლოვი, ქუთაისის პოლიკარპე კაკაბაძე, ფოთის აქვსენტი ლასარეიშვილი, თელავის ვენედიქტე ჯიშკარიანი, ხონის—კონსტანტინე

კოტია, ქუთაისის—გედეონ უნგიაძე, აბასთუმანის—ზაქარია სარჭისიანცი, სამტრედიის—ნესტორ ქაჯაია, ტფილისის პირველი განყოფილების კალისტრატე სარიშვილი იმავე წოდებებით: ხავთისი—ტფილისის ტელეგრაფში, მარიამ ღლონტი, ელისაბედ ინაშვილი, თამარა ვაჩნაძე და ნინო გვალია ბათომის ტელეფონის ქსელზე; თამარა გამრეკელი, მარიამ ბეჟანოვა, ვანდა წერეთელი, მარიამ სტავინსკაია, ნინო გამრეკელი, ნინა ჭყონია, აგათი სტურუა, თამარ რობაქიძე, ევგენია ანანიაშვილი, შუშანიკა დემეროვა, თამარა მჭედლიშვილი და სოლომონიდა უშვერიძე ტფილისის საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელზე; აზნაურიანცი—ართვინში, პეტროს ალაჯანოვი და ლიდია ალაჯანოვა და ბოლქვაძე—ქობულეთში; შიუკოვი—შულავერში, ბომი და უნგიაძე ჩაქვაში, სარქისიანცი და კაკაბაძე ტფილისის ფოსტაში, ბოხუა—ქუთაისში, დანარჩენნი ბათომის კანტორის შტატში. ხავთასი, ღლონტი მარიამი, ინაშვილი, ვაჩნაძე, გვალია, თამარა გამრეკელი' მარიამ ბეჟანოვა, ვანდა წერეთელი, მარიამ სტავინსკაია, ნინო გამრეკელი, ლისიციანცი, იანქოშვილი, არონიშიძე, ნინო ანანიაშვილი, ჭყონია, სტურუა, რობაქიძე, ევგენია ანანიაშვილი, დემეროვა, თამარა მჭედლიშვილი, სოლომონიდა უშვერიძე—კაკაბაძე და ბოხუა 11 აგვისტოდან; აზნაურიანცი 8 აგვისტოდან, ნაუმოვა და ლომინაძე 13 აგვისტოდან, პეტროს ალაჯანოვი, ლიდია ალაჯანოვისა, მიხეილ ბოლქვაძე 24 ივლისიდან, შიუკოვი და სარქისიანცი 16 აგვისტოდან ბოლქვაძე 1 აგვისტოდან, ბომი და ბელიავსკი 21 ივლისიდან, უნგიაძე 14 ივლისიდან, პრიბილოვა 22 ივლისიდან, კილაძე 9 ივლისიდან, ტერ-მიკირტიჩევი და რეკაჩი 16 ივლისიდან, მამულოვი, დავით ჭანტურია და ვარლამ ჩხაიძე 8 ივლისიდან, დანარჩენნი 7 ივლისიდან 1920 წლისა.

დაახლოვნილ ნი არიან: სოხუმის ფოსტალიონი გრიგოლ პაპლავსკი და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ახალციხის მეხუთე ხარისხის სერგო გოცირიძე, გურჯაანის მეექვსე ხარისხის ალექსანდრე ჯანიაშვილი, პაპლავსკი ფოსტის დაკარგვის გამო, გოცირიძე ავადმყოფობის გამო და ჯანიაშვილი დანიშნულებისამებრ წასვლის უარის თქმისთვის 11 აგვისტოდან, პაპლავსკი 11 აგვისტოდან და გოცირიძე 16 აგვისტოდან 1920 წლისა.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

30 აგვისტო, 1920 წ., № 263.

განთავისუფლებულ იქმნას: დასასვენებლად ერთი თვის ვადით საბაჟო ნაწილის უფროსის თანაშემწე ალექსანდრე მანუჩარის ძე მიქაძე 1920 წლის ენკენისთვის 1 დან.

28 აგვისტო, 1920 წ., № 264.

დაბრუნდა-რა რაჭიდან ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილის უფროსი ბ. მიქაძე, ამით ვანთავისუფლებ საბაჟო ნაწილის უფროსის მოვალეობის ასრულებისაგან საბ ჟო ნაწილის უფროსის თანაშემწე ალ. მიქაძეს და წინადადებას ვაძლევ მათ შეუდგნენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

ს. **ავალიანი.**

—

საქართველოს რესპუბლიკის სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის პროკურორისა.

№ 15.

განთავისუფლებულ იქმნას: მდივანი პროკოფი პროხორის ძე იოსავა ა. წ. 4 აგვისტოდან თანახმად იუსტიციის მინისტრის ბრძანებისა, მისი ბათუმში გამომძიებლად დანიშვნის გამო.

№ 14.

დანიშნულ იქმნას: საქართველოს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის პროკურორის მდივნად მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი სვიმონ სამსონის ძე წერეთელი.

სენატის პროკურორი ა. **გელაზარაშვილი.**

არა ოფიციალური განცხადებანი

მიწად-მოქმედების საქმე.

ახალი სასოფლო სამეურნეო შკოლები.

მიწად-მოქმედების მინისტრმა სასოფლო სამეურნეო განყოფილებას წინადადება მისცა დაუგზავნოს ყველა ერობას სასოფლო-სამეურნეო განათლების ახალი დებულება. ამასთანავე ერობებს წინადადება მიეცათ დაუყონებლივ შეუდგენ 2 წლიან სასოფლო-სამეურნეო კურსების გახსნას. მეცადინეობა სასოფლო-სამეურნეო სკოლებში ოქტომბრის პირველს დაიწყება.

სასოფლო-სამეურნეო განყოფილების რეფორმა.

დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად, მიწად-მოქმედების მინისტრმა გადასწყვიტა: 1) ტფილისის საშუალო ტეხნიკური სასწავლებელი გადააკეთოს საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად. სასწავლებელში გახსნილი იქნება შემდეგი განყოფილებანი: მემინდვრეობის, მებაღეობის, მესაქონლეობის, ჰიდროტეხნიკური და სატყეო განყოფილება; 2) ყველა განყოფილების პირველ სპეციალურ კლასში სწავლა ახალ პროგრამით უნდა სწარმოებდეს; 3) პირველი განყოფილება მოსამზადებელ კლასისა უნდა დაიხუროს, 4) ტფილისის მებოსტნეობის პრაქტიკული შკოლა სასწავლო დემონსტრატიულ მეცადინეობისათვის უნდა იქნეს გამოყენებული; 5) პირველ სპეციალურ კლასში მიიღებენ ორივე სქესის პირებს არა ნალებ 15 წლისას და არა უხნიერეს 18 წლისა; 6) პირველ სპეციალურ კლასში უმაღლეს პირველ დაწყებით განათლების მქონე პირებს მიიღებენ. ამ ჟამად მეცადინეობის გეგმა სწრაფად მუშავდება. გარდა ამისა მიწად-მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის საშუალო ტიპის სასწავლებლად გადაკეთება 2 განყოფილებით—მემინდვრეობისა და მებაღეობის. სასწავლებელთან პანსიონის გახსნა არის განზრახული. პირველ კლასში მოწაფეთა რიცხვი 60 კაცს უდრის. შემდეგ გადაწყვეტილია წინამძღვარიანთ სასოფლო-სამეურნეო შკოლის დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთება. გადაწყვეტილია ლანჩხუთში ნოე ჟორდანიას სახელობის დაბალი სასოფლო-სამეურნეო შკოლის გახსნა, ასეთივე შკოლის გახსნა არის განზრახული სოხუმში. სასოფლო სამეურნეო განყოფილების სასწრაფოდ განვითარების მიზნით გაიხსნება სხვა და სხვა პრაქტიკული შკოლები იმ სახელმწიფო მამულებში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

საქართველოს სტატისტიკა.

საქართველოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა რუსეთში მიმავალ მუშათა დელეგაციას საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების დამახასიათებელი ვრცელი სტატისტიკური ცნობები და დიაგრამები მოაწოდა. სტატისტიკური ცნობები შემდეგ საკითხებს ეხება: 1) მცხოვრებთა რიცხვს და განაწილებას, 2) მემინდვრეობას, 3) მევენახეობას, 4) მებაღეობას, 5) მებოსტნეობას, 6) მეთამბაქეობას, 7) ჩაის კულტურას, 8) მეაბრეშუმეობას, 9) მეფუტკრეობას, 10) მესაქონლეობას, 11) ქალაქებში და სოფლებში პირველ საჭიროების საგნებზე 1913—1920 წლამდე ფასების მოძრაობამ. 12) სამთამადნო სიმდიდრის მდგომარეობას, 13) მარგანეცის მრეწველობას, 14) კოოპერატიული საქმის მდგომარეობას, 15) დამფუძნებელი კრების მოქმედებას, 16) სახელმწიფო დაწესებულებებს, 17) სახელმწიფო მამულებს და წარმოებებს, 18) ფოსტის, ტელეგრაფის და ტელეფონის მოქმედებას, 19) მუშების მოქმედების გამოკვლევას და სხვა.

ტფილისში ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის წარმომადგენელი დაბრუნდა. მას, დავალებული ქონდა მაზრების სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის გამორკვევა. გამოკვლევის დროს მან. 640 საანკეტო ფურცელი შეკრიბა, აქედან სენაკის ერობიდან 98 პასუხი მიიღო, ზუგდიდის ერობიდან—95, გორის—59, ბორჩალოს ერობიდან—48. ნაკლებად არის წარმოდგენილი სოხუმის ოლქი. გამონაკლისს შეადგენს კოდორის მაზრა, რომელმაც საკმაო რიცხვი ანკეტისა გამოგზავნა. ნაკლებად არის აგრეთვე წარმოდგენილი სიღნაღის, ტფილისის და თელავის მაზრები. ახალქალაქის და თიონეთის მაზრებიდან სრულიად არ არის მიღებული პასუხი. სუსტად გამოეხმაურა ამას ლეჩხუმის მაზრა. ყველა მსხრაში რომელსაც ანკეტაზე პასუხი სრულიად არ მოუციათ და ან სუსტად გამოეხმაურენ, იქ საგანგებო სტატისტიკოსები გაიგზავნა.

მოგარაგების სამინისტროში

მომარაგების სამინისტრო ხე-ტყის მრეწველობის შესახებ შედგენილ მოხსენებაში აღნიშნავს საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ ხე-ტყის ქარხანათა რიცხვს. საქართველოს რესპუბლიკაში ბათომის ოლქის გამოკლებით 51—ხე-ტყის ქარხანა ყოფილა; აქედან 31 ტფილისის გუბერნიაში, 18 ქუთაისის გუბერნიაში და 2 სოხუმის ოლქში. მომარაგების სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია რომ საქართველოს ხე-ტყე საექსპორტოდ უფრო ოკეთ იქნას გამოყენებული ქარხნების რიცხვი, ან უნდა გამრავლდეს და ან არსებულ ქარხნებში მუშაობა უნდა გაფართოვდეს. მოხსენებაში სწერია: საჭიროა ქარხნებს მივაწოდოთ ნედლი მასალა და უნდა ვიზრუნოთ ახალი ქარხნების დაარსებაზედაც. ხეებსა და დახერხილ ფიცრებზე სასტიკი კონტროლი უნდა დაწესდეს. ხე-ტყის გაიაფება რესპუბლიკაში ამშენებლობის საქმის გაძლიერებას გამოიწვევს.

პურის გატანის ნებართვა.

მომარაგების სამინისტრო იუწყება: მომავალში პურისა და ხორბლის ტფილისიდან რკინის გზით გატანის ნებართვის მიღება შეიძლება მომარაგების სამინისტროში. სასოფლო გზებით გატანის ნებართვა კი ქალაქის თვითმმართველობაშიო.

მთავრობის თავმჯდომარე პროვინციაში.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია 15 სექტემბრიდან აპირებს პროვინციაში მოგზაურობას. მიზანი მოგზაურობისა არის პირადათ გაცნობა იმისა, თუ როგორ მუშაობს ჩვენი მართვა-გამგეობის ორგანოები და როგორ ტარდება ცხოვრებაში მთავრობის მიერ მოხდენილი რეფორმები.

გზა და გზა მთავრობის თავმჯდომარე მიიღებს საჩივრებს სახელმწიფო და საზოგადო ორგანოებზე, მოისმენს აგრეთვე ხალხის ჭირვარამსა და მოთხოვნილებებს.

გზებზე მდებარე სოფლებსა და ქალაქებში მთავრობის თავმჯდომარე შეჩერდება ნახევარ საათობით და მოუსმენს დელეგატებს და ცალკე პირთ საზოგადო საჭიროებებზე.

კერძო პირთაგან კი მიიღებს მხოლოდ წერილობით თხოვნებს.

პირველი მოგზაურობის გეზი დაახლოვებით ასეთია: ტფილისი—სართიჭალა—სიღნაღი—გურჯაანი—წინანდალი.

ორი, ან სამი დღის წინანდალში დასვენების შემდეგ, მთავრობის თავმჯდომარე გაემგზავრება თელავს-ყვარელს და იქიდან დაბრუნდება ისევ წინანდალში.

წინანდალიდან ერთი დღის დასვენების შემდეგ იგი გაემართება თელავს და გომბორის გზით დაბრუნდება ტფილისში.

შემდეგი მოგზაურობა განზრახულია დუშეთისა და გორის მაზრებში. მოგზაურობის დროს მთავრობის თავმჯდომარეს ეახლება მისი პირადი მდივანი და ადიუტანტი.

გაქოს ამგეგი

ჩვენ რედაქციას ესტუმრა ბაქოდან ახლად ჩამოსული სანდო პირი, რომელმაც ბაქოს დღევანდელი ყოფა-ცხოვრების შესახებ შემდეგი გვიამბო:

იმის შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა მუსრი გაავლეს „კონტრრევოლიუციონერებს, მაშინვე შეუდგნენ ყველა დაწესებულებების და საწარმოო ფირმების ნაციონალიზაციას; ჩამოართვეს მეპატრონეებს სახლები, თეატრები, კინო-პალასები, ნავთის სამრეწველო ფირმები, საჰარიკმახეროები. ერთი სიტყვით ყველიფერი თვითონ ჩაიგდეს ხელში. მცხოვრებლები პირველ ორ კვირაში იმედიანის თვალით შეყურებდა, როგორც ნაციონალიზაციას, ისე საერთოდ ბოლშევიკურ მოქმედებას, მაგრამ შემდეგ დღითი-დღე ცხოვრება გაჯოჯოხეთდა. ბალშევიკებმა მცხოვრებთა უკანასკნელი საზრდოც რუსეთში გაიტანეს; ნავთის წარმოება დღითი-დღე ეცემა. მუშების მდგომარეობა აუტანელია, ამისათვის ხშირია მათ შორის დეზერტირობა; სტოვებენ სამუშაოს მიდიან, უნდათ, როგორმე თავი დაიხსნან იმ ჯოჯოხეთურ პირობებიდან, მაგრამ წასვლაც რომ ძნელია. განსაკუთრებით დიდი გასაჭირია ბაქოდან გამოსვლა რუსებისათვის, უცხოელებს უშვებენ დიდი ხარჯისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ მის შემდეგ, რაც ზავი შეიკრა ბოლშევიკურ ადერბეიჯანსა და საქართველას შორის ქართველებს კარგად ეპყრობიან. საქართველოს მისიისა და ელჩისადმი ოფიციალურად მაინც მორიდებას და პატივისცემას იჩენენ. მაგრამ ადგილობრივი გაზ. „კომუნისტი“ მაინც არ ცხრება და ყოველ-დღე ახალ-ახალ პროვაკაციებს ავრცელებს საქართველოსა და მისი მთავრობის წინააღმდეგ. გარდა კომუნისტურ გაზეთებისა აქ სხვა გაზეთი არ გამოდის; ჩახშულია თავისუფალი აზროვნება, მაღაზიები სულ დაკეტილია, რადგანაც სავაჭრო საქონელი, განსაკუთრებით მანუფაქტურა სულ აღარ არის, ბოლშევიკების გაბატონებამდე კი მანუფაქტურა ბლომად იყო, ერთი კოსტუმის შესაკერავად, ისიც თუ იშოვეთ სადმე, საჭიროა 150.000 მანეთი.

მაგრამ მანუფაქტურას ვინ სჩივა, როცა პირველ მოთხოვნილებას საგნებზე შემდეგი ზღაპრული ფასებია: პური შავი—190 მ., თეთრი პური თუ სადმე გაჭირვებით იშოვნეთ ღირს 320 მანეთი, ხორცი—200 მ., ყველი—800 მ., შაქრის ფხვნილი 2000 მ., სარეცხი საპონი 1000 მ. და რა გასაკვირია, ამის შემდეგ, რომ ბაქოში თითქმის ყველა წინააღმდეგია „ყოვლის შემძლე“ ბოლშევიზმის. მღელვარება ხალხში მმართველ წრეების წინააღმდეგ დღითი დღე იზრდება, ხშირად აქვს ადგილი ექსცესებს, მაგრამ „ჩრეზვიჩაიკების“ წყალობით ჯერ ჯერობით აყუჩებენ მდგომარეობას. მაგრამ უკანასკნელად მოხდარმა ამბებმა: ერთის მხრივ რეაქციონერ გენ. ვრანგელის შემოტევამ და მეორე მხრივ პოლონეთის ფრონტზე ბოლშევიკების სასტიკად დამარცხებამ ბოლშევიკების მდგომარეობა ერთი ასად გააუარესა; თვითონ იდეურ ბოლშევიკებთა შორისაც კი დიდი პანიკა გამეფდა. არის კიდევაც ქალაქში ხმები, რომ ბოლშევიკები ქალაქს მალე დასტოვებენო; არა ნაკლები მღელვარებაა მე-11 არმიაში, სადაც ბევრი შეგნებული მებრძოლია, მაგრამ ძალზე უკმაყოფილოა ბოლშევიკური პოლიტიკით. ქალაქში ხმებია აგრეთვე ბოლშევიკების მიერ კავკავის დატოვების შესახებ, ჩრდილო-კავკასიის ამბების გამო მიმოსვლა ბაქოსა და მოსკოვს შორის შესწყდა. ეხლა მხოლოდ პეტროგრადამდე მიდის მატარებელი. ფაქტიურად ყველაფერი რუსების ხელშია, ზოგიერთი მკვიდრნი მოღვაწენი ყავთ როგორც მთავრობაში ისე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, მაგრამ მათ ცალი თვალით უყურებენ და სასტიკ კონტროლ ქვეშ ჰყავთ.

ბაქოდან ტფილისამდე ჩამოსვლას 4 დღე მოუნდით, რადგანაც დიდი უწესრიგობაა გზებზე: მატარებლებს ჩხრეკავენ, სადგურებზე დიდხანს აჩერებენ და სხვა. ფოთლოში რომ გადმოვჯექით საქართველოს რკინის გზის მატარებელში, სული მოვითქვით, გულზე მოგვეშვა.

5 თვეა რაც წავედი ტფილისიდან ბაქოში, მაგრამ 5 საუკუნე მგონია, ისეთი გაჭირვება გავიარე. გუშინ ტფილისის ცხოვრებას გავეცანი, გული სიხარულით და ნეტარებით ამევსო, ფფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ უნდა იყოს აქ უკმაყოფილო ხალხი; მესმის ამ ბოლო დროს ტფილისში მეტად გაუარესდა ეკონომიური პირობებიო, მაგრამ მე ამას სრულიად ვერ ვგრძნობო, დაასრულა მოსაუბრემ.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ამერიკა და რუსეთი.

რუსეთის საკითხთან დამოკიდებულების შესახებ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა თავის ნოტაში აცხადებს: მთავრობა, თუმცა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე უარს აცხადებს, მაგრამ იგი გულითად სურვილს გამოსთქვამს, რომ რუსეთის ხალხმა შესძლოს ახლო მომავალში მტკიცე მთავრობის შექმნის პირობების გამონახვა, ისეთი მთავრობის, რომელიც ხალხის ნების გამომხატველი იქნება. საბჭოთა მთავრობა, მიუხედავათ იმისა, რომ 2½ წელზე მეტი აქვს ძალა უფლება ხელში, არ არის მოწადინებული მოიწვიოს დამფუძნებელი კრება. ამდენხანს ბოლშევიკები საერთო სახალხო არჩევნებს უარყოფდნენ და დასცინოდნენ მას. მაშინ, როდესაც ყველგან საერთო საარჩევნო უფლება იმარჯვებს, ბოლშევიკებმა, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ, ძალა-უფლება ხელში ძალით ჩაიგდეს და ამავე ძალით უპყრიათ იგი დღესაც. როდესაც რუსის ხალხი შესაფერ მთავრობას შექმნის, შეერთებული შტატები რუსეთს რეალურ დახმარებას გაუწევს. მაგრამ ამ ჟამად საჭიროა რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხლებლობის დაცვა და ამის შესახებ მოკავშირე სახელმწიფოებმა თავისი აზრი ხმამაღლა უნდა განაცხადონ. უცხო ჯარები რუ-

ესეთის ტერიტორიიდან უნდა გამოიყვანონ. პოლოოეთმა და ფინლიანდიამ საქვეყნოდ უნდა განაცხადონ, რომ ისინი თავის ეტნოგრაფიულ საზღვრებს არ გასცილდებიან. ასეთ შემთხვევაში ბოლშევიკებს არ ექნებათ საშვალება გააღვიძონ რუსის ხალხში პატრიოტული გრძნობა და მოუწოდონ მას სახელმწიფოს დასაცავად.

სპარსეთი და ჟანდარმერია.

თანახმად თეირანიდან მოსული ცნობისა სპარსეთის ჟანდარმერიამ დაამარცხა ენზელიდან მოსული ბოლშევიკთა ჯარები.

გაზ. „პრავდა“ რუსეთის მდგომარეობის შესახებ.

„პრავდა“ აღნიშნავს, რომ მართალია ჩვენ დამკვრელ საწარმოო პროგრამაზე ბევრი ვწერეთ, მაგრამ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი იმედი არ გამართლდა. უმთავრესი ქარხნები კოლომენის და მეტიშჩენის სათბობ მასალის უქონლობის გამო ვერ მუშაობენ. კულებაკის და ბეკსუნის ქარხნების წარმოება ძლიერ დაეცა. ყველა ქარხანა მუშა ხელის ნაკლოვანებით იტანჯება სასურსათო საქმის მდგომარეობა კი კიდევ უფრო უარესია.

(გაზეთებიდან)

მდგომარეობა ყირიმში.

ყირიმიდან იტყობინებიან, რომ ვრანგელის არმიამ წითელ ჯარს წაართვა ტამანი. ყირიმის მთავარ სარდლის ტამანის აღების შემდეგ უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს ყუბანს. ქალიქ კერჩში გაემგზავრა თვით გენერალი ვრანგელი და იქიდან ეცდება ის სამხედრო ოპერაციების დაწყებას ყუბანში.

კრასინი ლონდონში.

პარიზის გაზეთების ცნობით კრასინს ლონდონში დაუარსებია „რუსეთის კოოპერატიული ამხანაგობა“. პირველ დირექტორად მიუწვევია ცნობილი ბოლშევიკების მოღვაწე და წინამძღოლი რაზოვსკი.

გენ. ვრანგელის მთავრობა და საფრანგეთი.

გენერალ ვრანგელის მთავრობის ცნობა საფრანგეთის მიერ de facto-დ აღიარებამ, სევასტოპოლში უმაღლეს კომისრის დანიშვნამ და კომერციულ ატაშეს ლონდონში გაგზავნამ, იმ მიზნით, რომ კაბენევთა და კრასინთან ყოველგვარი კავშირი შეეწყვიტა—ყოველივე ეს საფრანგეთის მთავრობის მოქმედებამ ლონდონის და მთელი ინგლისის ყურადღება მიიზიდა. ამ ამბავმა ისეთი განცვიფრება გამოიწვია ლონდონში, რომ გაზეთებმა საფრანგეთის გადადგმული ნაბიჯი „ყუმბარის გადაგდებად“ ჩასთვალეს. ლონდონის პრესსა საფრანგეთის მოქმედებას არ იწონებს და ძალიან ჰკიცხავს „პარიზის გადაწყვეტილებას“. პრესსის აზრით ასეთ გადაწყვეტილებას მოკავშირეთა პოლიტიკაში შეუძლიან რღვევა და მერყეობა შეიტანოს.

საბჭოთა რუსეთი

ბოლშევიკების დახასიათება.

გაზეთი „ბოსფორი“ სხვათა შორის ასე ახასიათებს: ბოლშევიკებმა ბრძოლა დაიწყეს იმ მიზნით რომ მთელი ქვეყანა განეარაღებინათ და დაათავეს კი იმით რომ მივიდნენ უკიდურეს მილიტარიზმთან. დაიწყეს აგიტაცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ იმპერიალიზმს უფრო ხელი შეუწყოს გაძლიერებისკენ.

გერმანია და საბჭოთა რუსეთი.

მას შემდეგ, რაც პოლონეთმა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო საბჭოთა რუსეთის მთავრობა, გერმანიამ მეტად ცუდი თვალით და აზრით შეხედა კომუნისტებს.

ფონ-სიმონსი ბოლშევიკების და ისლამიზმის შესახებ.

გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი ფონ-სიმონსი ბოლშევიკების შესახებ ამბობს: როგორც ისლამიზმი თავისი ბარბაროსობით დასჯილია კულტურულ ქვეყნების ცივილიზაციის მიერ, ისე ბოლშევიზმი დაისჯება სასტიკად ყოველი კულტურულ ქვეყნისგან.

სამლვთო ომი ბალშევიზმის წინააღმდეგ.

გაზეთ „ეხო ბათუმის“ გადმოცემით ბაქოში და მთელ ადერბეიჯანში დიდი მღელვარება იზრდება ბალშევიკების მიმართ“. ამ გარემოებას ხელს უწყობს ისიც, რომ უკანასკნელ ხანებში ბალშეეიკებს საქმე ძალიან ცუდად მისდით. ადერბეიჯანელებს გადაუწყვეტიათ გამოაცხადონ სამღვთო ომი ბალშევიკების და საერთოდ რუსების წინააღმდეგ. ამ უკმაყოფილობის ნიადაგზე მოსალოდნელია, როგორც ადერბეიჯანში, აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში დიდი არეულობა მოხდეს, რომლის მოთავე და წინამძღვარი უეჭველია მუსავატები იქნებიან.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

პოლონეთის დელეგაცია.

ჰავასი იუწყება: პოლონეთის დელეგაციამ საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული პირობები უარყო. პოლონეთი საზავო კონფერენციის რიგაში გადატანას მოითხოვს. თანახმად „დეილი ექსპრესის“ მიერ გამოქვეყნებულ დეპეშისა, რუსები ამაზე დასთანხმებულან. „გოლუას“ ცნობით პოლონეთის დელეგაციამ მინსკის დატოვების შესახებ ბრძანება მიიღო.

ბაღდადის რაიონში.

ბაღდადის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით კურკურის რაიონში ქურთებმა არეულობა მოახდინეს.

ოსმალეთი და ბოლშევიკები

თანახმად კონსტანტინეპოლიდან მიღებულ ცნობებისა, ოსმალეთის ნაციონალისტებმა ბოლშევიკებისაგან დიდ ძალი იარაღი, სამხედრო მასალა და ფული მიიღეს. ბექირ-სამი ამ ჟამად მოსკოვში იმყოფება.

ჩიჩერინი ზავს მოითხოვს.

ჩიჩერინმა პოლონეთის საბჭოს თავმჯდომარეს აცნობა, რომ საბჭოთა მთავრობას სურს პოლონეთთან ზავის ჩამოგდება და კეთილ მეზობლურ განწყობილების დამყარება.

ხეჭვო ხელშეკრულება.

„დეილი“ გეროლდმა ბოლშევიკურ პროპაგანდის ორგანომ—ბერლინში გამოაქვეყნა ტექსტი საეჭვო ხელშეკრულებისა, რომელიც თითქმის საფრანგეთის მთავრობასა და ვრანგელს შორის დადვა. მაგრამ პარიზის ავტორიტეტულ წრეებში ამის შესახებ არავითარი ცნობები არ არის. ეს დოკუმენტი, სწერს „ტანი“, თავიდან ბოლომდე სიყალბეაო.

საფრანგეთის პარში.

ზოგიერთი გაზეთის ცნობით საფრანგეთის ჯარები იძულებული გახდნენ არაბების მიწოლის გამო დამასკი დაეტოვებიათ, მენსინიდან გაიგზავნა მაშველი ჯარები. გენერალ გუროს მიერ მიღებულ ზომების წყალობის არაბთა შორის მშვიდობიანობა მყარდება.

გერმანიის ელჩი პარიზში.

პარიზში მყოფ გერმანიის ელჩმა ორშაბათს დილით სალონგეთის გარეშე საქმეთა მდივანს ოფიციალურად განუცხადა, რომ ის შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

ქართველოგა ჩრდილო-კავკასიაში.

ადგილობრივ ქართველთა კულტურულ განმანათლებელმა საზოგადოებამ მიიღო რევკომის განკარგულება, რათა მას შეეწყვიტა ყოველგვარი მოღვაწეობა. საზოგადოებას ამასთანავე წინადადება მისცეს: ბლანკი ბეჭედი საზოგადოებისა გადაეცით რევკომის შინაგან მმართველობის განყოფილებასო, საზოგადოების წესდება არ შეიძლება დამტკიცდეს, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის დებულებებსო. საზოგადოება, როგორც ასეთი, ვერ იარსებებს და მან განკარგულების მიღებისთანავე უნდა შესწყვიტოს თავისი არსებობა. ბლანკებისა და ბეჭდის გადაცემა უნდა ეუწყოს საგუბერნიო რევკომსო. საზოგადოების გამგეობამ ამ საქმის გამო გუბერნიის რევკომის წინააღმდეგ საჩივარი აღძრა. ჩრდილოეთ კავკასიის საგანგებო კომისარი მდივანთან რომელმაც უპასუხა, რომ არამც და არამც არ შეიძლება საზოგადოების არსებობაო. ორჯონიკიძე, რომ ჩამოვიდა იმასაც მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ საზოგადოება დახურეს.

ახალი ამბები

ვეფხის ტყაოსანი. გამოვიდა და იყიდება წ. კ. გამავრც. საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული ვეფხის-ტყაოსანი“, რომელსაც დართული აქვს შინაარსი პროზად, ვრცელი ლექსიკონი და ცნობები ამ წიგნის დამწერის და დაწერის დროს შესახებ. გამოცემა შემკულია 2 პორტრეტით და 21 სურათით. ამ გამოცემის ტექსტი საზოგადოების პირველ გამოცემასთან შედარებით ცოტად შეცვლილია საუკეთესო ხელთნაწერების მიხედვით. რედაქცია ეკუთვნის დ. კარიჭაშვილს. ღირს 150 მანეთი.

სიონისტთა კონფერენცია საქართველოში. აგვისტოს 30 ებრაელთა სახლში გაიხსნა საქართველოს სიონისტთა მეორე კონფერენცია. დელეგატები იყვნენ ტფილისიდან, ბათომიდან, სოხუმიდან და ონიდან. კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს მთავრობასა და ტფილისში მყოფ დიდ ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს. კონფერენცია უმთავრესად იმსჯელებს, საორგანიზაციო, საფინანსო, და ემიგრაციის საკითხებზე.

ფინანსთა მინისტრის კანდელაკის დეპეშა. ფინანსთა სამინისტროში ლონდონში მყოფ ფინანსთა მინისტრის კანდელაკისაგან მოვიდა ცნობა, რომ მის მიერ ონელეისის კომპანიისაგან 50000 ტონ მარგანეცში 200000 გირვანქა სტერლინგი არის აღებული. მიღებულ თანხით ფინანსთა მინისტრი ინგლისში საქართველოს რკინის გზისათვის საჭირო მასალებს შეიძენს.

გენერალურ შტაბში. გენერალურ შტაბის უფროსის განკარგულებით დაითხოვეს სამსახურიდან ოზურგეთის სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოს საქმის მწარმოებელი. საქმე მის განყოფილებაში მომხდარ ბოროტ-მოქმნდების შესახებ გამომძიებელს გადაეცა.

ქალაქის საქმეები. ქალაქის გამგეობა ღებულობს ზომებს სასმელი წყლის ღირსების გასაუმჯობესებლად და გასაწმენდად წყლის უსუფთაობის უმთავრესი მიზეზი არის უშოვნელობა შაბისა, რაც წინედ ნოვგოროდის გუბერნიიდან და შემდეგ კი განჯიდან მოჰქონდათ. ახლა საქართველოში ხანგრძლივ ძებნის შემდეგ ორ ადგილას აღმოაჩინეს შაბის მადანი; ერთი სანაინში და მეორე ქუთაისის მაზრაში. სანაინის შაბი წყალსედენისთვის უსარგებლო შეიქმნა. ქუთაისის მაზრაში უკვე შეუდგენ შაბის დამზადებას. წყალსადენის მართველობა იმედს გამოსთქვამს, რომ წელს მცხოვრებლებს სუფთა წყალი ექნებათ.

საურთიერთო ნდობის საზოგადოება. საკრედიტო დაწესებულებათა ყრილობის საბჭომ საურთიერთო ნდობის საზოგადოებას მიმართა განცხადებით, რომელშიც საბჭო აღნიშნავს, რომ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წესდება და მისი მოქმედება თანამედროვე პირობებს და ვაჭრობა-მრეწველობის მოთხოვნილებებს არ შეეფერებაო. საურთიერთო ნდობის საზოგადოების მოქმედების გამოსაცოცხლებლად, საბჭოს აზრით, საჭიროა წესდების შეცვლა და საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა კომერციულ ბანკებად გარდაქმნა. ასეთ გარდაქმნის შემდეგ შეუძლია მხოლოდ საკრედიტო დაწესებულებებს სასსიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაო, აღნიშნავს საბჭო. თავის მიმართვაში საბჭო წინადადებას იძლევა დაამთავრონ წინასწარი მუშაობა სულ მოკლე ხანში, რომ იანვრის პირველისათვის შეიძლებოდეს საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა კომერციულ ბანკებად გარდაქმნა.

ფუნიკულიორი. დღეიდან ამუშავდება ტფილისის ფუნიკულიორი. ვაგონების მოძრაობა დაიწყება დილის 8 საათიდან და შეწყდება დამის 11 საათზე. ფუნიკულიორზე ასვლა ზევით ეღირება 30 მან., ჩამოსვლა 20 მანეთი. შუა სადგურამდის 15 მანეთი. იქიდან ჩამოსვლა 10 მანეთი.

მფრინავ კილტავას დაკრძალვა. მფრინავი კილტავა, რომელიც ფრენის დროს ძირს ჩამოვარდა და ჭრილობისაგან გარდაიცვალა გუშინ დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში.

პეტროგრადში მყოფ ქართველ სტუდენტთა სია. ამ ჟამად პეტროგრადში შემდეგი ქართველი სტუდენტები იმყოფებიან: აბულაძე კალენიკე, ლაბაძე, ლეტკაშელი ნეოტუსი, მიქელაძე შალვა, ჟორდანია იოსიბ, ნიჟარაძე შალვა, ხელიძე ალექსი, ღლონტი, უხოვი, შარვაშიძე, ჩაჩავა, გეორგაძე, ღოლობერიძე, დუმბაძე, ვაჩნაძე შალიკო, ბაზაძე ალექსანდრე, გარაყანიძე, ფხაკაძე ალექსანდრე, სალუქვაძე, გურგენიძე ილიკო.

საქართველოს დელეგაციის ჩამოსვლა. დღეს პარიზიდან ბათომს ჩამოვიდენ საქართველოს დელეგაციის წევრები ი. გობეჩია, გ. გვაზავა, და გენ. ერისთავი.

აზერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარის ჩამოსვლა. სასწრაფო მატარებლით ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა აზერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარე ნარიმანოვი და გარეშე საქმეთა კომისარი ჰუსეინოვი. მათთან ერთად ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი რწმუნებული კიროვი.

სასურსათო ცხოვრება

პურის ბიურო.

პურის ბიურო იუწყება ტფილისში პურის თავისუფალ შემოტანისათვის და ამის გამო შესაძლებელ დაბრკოლებების გადასალახავათ აგენტთა სავანგებო მოძრავი საყარაულოები დაწესდაო. პურის ბიურო ითხოვს: იმ შემთხვევაში, თუ რაიმე გაუკებრობა დაიბადება, ბიუროს აგენტებს მიმართონ.

რძის მრეწველობა.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ გაგზავნა ციხის ჯვარში ტფილისის ბოტანიკურ ბაღის დირექტორი რძის მრეწველობის საქმის მოსაწყობად.

ფასი სანოვაგეზე.

თანახმად სავაჭრო სამრეწველო პალატის ცნობებისა ტფილისში, აგვისტოს 31 სანოვაგეზე შემდეგი ფასები იყო: გირვანქა ყარაქი 300 მან. საქმლის ზეთი—300 მან. ყველი 120-170 მან; ათი კვერცხი-120 მან; თეთრი ფქვილი ფუთი 4500 მან; ადგილობრივი 1500 მან; სიმინდი ფუთი—1300 მ; პური 1400 მან; კომბოსტო ფუთი—350 მან; კარტოფილი ფუთი—450 მან;

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელი დეპეშებისა 28 აგვისტოსი.

ალექსანდროპოლიდან—გრიგორიანცს; ბაზვიდან—სალუქვაძეს; სარიკამიშიდან—ჩილინგაროვს; ფოთიდან სადგ.—რესაკს; ერევნიდან—დავტიანცს; სატირიდან—ლიტანოვს; ადგილობრივი—ჩიხლაძეს; სუხუმიდან—ატომს ალექსანდროპოლიდან—ჯამბაზიანცს; დიდჯიხაიშიდან—მალრაძეს; მუხრანიდან—ქებანსკიეს; კიწიიდან დამენიას; ოჩემჩირიდან—ქეიატკოვს; ერევნიდან—კარაპეტოვს; ალექსანდროპოლიდან—ეგაავს; აბასთუმნიდან—ჟღენტს.

ერობა

ტფილისის სამაზრო ერობაში.

ერობას განზრახული აქვს ააგოს წისქვილი ყარაიაზის სადგურთან. ამ მიზნით მიწადმოქმედების სამინსტროს წინაშე აღიძრება შუამდგომლობა, რომ ხსენებულ უწყებამ ერობას დაუთმოს წისქვილისთვის საჭირო ადგილი ყარაიაზის სადგურის ახლო.

— მანგლისში მეტეოროლოგიურ სადგურის მოსაწყობად ერობამ ამ საქმის საჭიროებისათვის გადასდო 30000 მანეთი.

— ერობამ სასკოლო განყოფილებამ წინადადება მისცა, რომ ერობის სკოლებში აკრძალოს მღვდლების მასწავლებლად მიღება. სკოლები სრულიად განთავისუფლებული იქნებიან სამღვდელო პირებისაგან.

— სკოლის გარეშე განათლებისათვის ერობამ გაიღო 8170 მანეთი.

წ.-კითხვის საზოგადოება

მასწავლებელთა და წიგნების მოვაჭრეთა საყურადღებოთ.

ამ რამოდენიმე დღის წინად ქართულ გაზეთებში დაიბეჭდა სია იმ სახელმძღვანელო წიგნებისა, რომელსაც ბეჭდავს ქართული ბეჭვდითი ამხანაგობა და რომელიც უნდა გამოვიდეს ბაზარზე გასასყიდათ აგვისტოს დამლევამდე.

ხსენებულ სიაში მე-7 ნომრით აღნიშნულია იაკობ ზედგინიძის ქართული ანბანი, რომელსაც მიწერილი აქვს **დედა ენის მაგიერი** (ხაზი ჩვენია). ქართული ბეჭდვითი ამხანაგობას არავითარი უფლება არ ჰქონდა მიეწერა „დედა ენის მაგიერი“. დედა ენა ჯერ არ მომკვდარა, არც შეუჩერებია მისი გამოცემა წ. კ. გ. საზოგადოებას, არც არავის დაუწუნებია და არც დაუვალებია ბ-ნი ზედგინიძისათვის საზოგადოების გამგეობას დედა ენის მაგიერი ახალი წიგნის შედგენა. ასეთი განცხადება დაბეჭდილია მხოლოდ იმ მიზნით, რომ მეტი ბაზარი მოუპოვონ ზედგინიძის ქართულ ანბანს და შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება.

წ. კ. გ. საზოგადოება აცხადებს მასწავლებელთა და წიგნების მოვაჭრეთა საყურადღ-

ლებოთ, რომ იაკობ გოგებაშვილის დედა ენა 1 ნაწ. და 2 ნაწ., განსაკუთრებული კომისიის მიერ შესებული და შესწორებული, როგორც ეს უკვე გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული **იხეიდება და გამოვა ამ დღეებში.** 50,000 ცალი უკვე დაკვეთილია.

წ.-კ. გ. ს. **ვამგეობა.**

ზ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა საერთო განყოფილების 8 კლასის დამთავრების მოწმობა ფიგი ტიმოთეს ასული ტრიონ და ფილიდეს სახელზე, მიღებული ტფ. 2 ქალთა გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2473 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ნიკოლოზ იოსების ძე ტუმაევის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსისაგან 1913 წ. რეესტრით № 11779. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2505 3—2

დაიკარგა პასპორტი ნადირ გაჯიევის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს 2506 3—2

დაიკარგა ტფ. პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 88102—200 მან. ღირებულების. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2508 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ზაქარია ნიკოლოზის ძე კედენიევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2509 3—2

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა და 8 კლ. დამთავრების მოწმობა, ვალენტინა კონსტანტინეს ასული დვალის სახელზე, მიღებული ტფ. ქალთა მეორე გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2510 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან გრიგოლ ივანეს ძე მანუჩაროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2520 3—2

დაიკარგა ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის წევრობის ბარათი № 455 თედო მირონის ძე ჯოხაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2498 3—2

დაიკარგა პროფესიონალური კავშირის „სურსათი" ს (продовольствіе) საწევრო წიგნაკი სტილო გარიბოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2499 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მეიერ იაკობის ძე დავარაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2500 3—2

დაიკარგა სომხეთის ქვეშევრდომობის მოწმობა № 291 ერვანდ პაიტიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2476 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ლევან ალექსანდრეს ძე ონანო ვაჩნაძის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსისაგან 1917 წ. მაისის 15ს რეესტრით № 1297, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2502 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი სარქის მიხეილის ძე პაპულაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2516 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი იუდა მოსეს ძე ჩაჩანაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2468 3—3

დაიკარგა პასპორტი ნაგი მირზა თაგი ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2464 3—3

დაიკარგა სათადარიგო ჯარში გადარიცხვის მოწმობა № 5400 პარუჩიკი აბესაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 16|IX 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2465 3—3

დაიკარგა ველოსიპედის ნებართვა № 17 არმენაკ შალომოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2503 3—2

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ თანახმად სავ. სახ. ძმ. გ. და ნ. ტერ-აბრამოვებისა და ამხ. წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა (ოქმი № 45 1920 წ. ივნისის 13-ს შემდგარ კრებისა) და თანახმად ჩემდამიმიცემული რწმუნებულებისა, ამით ვაუქმებ ყველა მინდობილებებს, გაცემულს აღნიშნულ სავაჭრო სახლის მიერ თავის წევრების ან და სხვა ყველა თანამშრომლების სახელზე ვინაიდან ხდება აღნიშნულ სავაჭრო სახლის ლიკვიდაცია და მთელი აქტივი პასივი გადაეცემა ტფილისის ნავთის მრეწველთა და სავაჭრო აქციონერულ საზოგადოება „პეტროლს" სავ. სახ. გ. და ნ. ტერ-აბრამოვის და კომპ. ამხანაგი მომწესრიგებელი ივანე ნიკიტის ძე ტერ-აბრამოვი. 2488 3—3

დაიკარგა ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან და პატენთი, მიღებული ხაზინიდან ასვაცატურ გაბრიელის ძე პალელიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2492 3—2

დაიკარგა პასპორტი ანდრია ბასილის ძე იმერლიშვილის სახელზე, მიღებული ს. შილდოს (კახეთი) კომისარისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2489 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, მეტრიკული მოწმობა და პარსელ გაბრიელის ძე პალელიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2491 3—2

დაიკარგა პასპორტი № 2219 დავით დავითის ძე ჟუჟიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2463 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ამატონევის ქუჩა № 50 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ელისაბდ ივანეს ასული თომასოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2456 3—3

დაიკარგა მეტრიკა გეურქ გიგოლას ძე ბაჩატურიანცის სახელზე, მიღებული სომხების კონსისტორიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2519 3—2

დაიკარგა მოწმობა ბაბილინა ბურჭულაძის სახელზე, მიღებული ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობიდან. 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2497 3—2

დაიკარგა ტფ. 5 გიმნაზიის 4 კლ. მოწმობა მაიორ შტეინბერგის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2523 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული რკ. გზის კომიტეტიდან, პასპორტი, მიღებული ს. კავთისხევის თემიდან პირადობის მოწმობა სურათით მიღებული რკ. გზის სამმართველოდან ალექსანდრე გიორგის ძე ლაშკარაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2524 3—1

დაიკარგა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის კანცელარიის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა პლატონ ერასტოს ძე ფიჩხუას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2525 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა გაცემული ტფილისის სამხედრო უფროსის მიერ და ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ გაცემული ცხენის ნომერი ნიკოლოზ ზაქარიას ძე ხარჩილაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2531 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ფრიდრიხ რეშისა, მიცემული ტფილისის ტელეფონის ქსელის უფროსის მიერ 8 ივნისიდან 1920 წ. № 1519 და ორი ბარა (нарядъ) მიცემული იმავე უფროსის მიერ მექანიკოს კულაკოვზე ტელეფონის ნამბის შესასწორებლად ელისაბედის ქუჩ. № 129 (რკინის გზის სამმართველო) 24 აგვისტოდან 1920 წ. №№ 1164 და 1165, ყველა ბოროტმოქმედების ასაცილებლად ტელეფონის ქსელი აფრთხილებს ბატონ აბონენტებს რომ ყველა მუშაობა ხსენებულ ბარით ჩაითვლება არა ლეგარულად და მასში პასუხს არ აგებს. 871 3—1

ბ ა ლ ა ნ ს ი

1920 წ. 1 იანვრისათვის ქართულ სამრეწველო-საღმაშენებლო და სავაჭრო საქციონერო საზოგადოებისა

„ოქროს ვერძი"

აქტივი.

I. კასა. ნაღდი კასაში			1.635.181 20
II. მიმდინარე ანგარიშები სხვა და სხვა ბანკებში:			
ტფილისში		17.271 08	
ფოთში		95.391 86	
ბათომში		1.177.927 90	1.445.590 84
III. საქონლები საკუთარ ფასებში:			
საწყობებში: ტფილისში	906.387 20		
ფოთში	100.848 66		
ბათომში	4.472.831 70	5.480.067 56	
საკომისიოდ გაგზავნილი		8.441.163 02	
ნაყიდი სხვებთან ერთად საზოგ. ნაწილი		4.395.000 —	18.316.230 58
IV. საპაიო ფული სა-ბში:			
სხვა და სხვა			1.900.500 —
V. ქონება:			
1. უძრავი ქონება ფოთში	241.738 —		
2. მოძრავი:			
ფოთში	65.422 —		
ტფილისში	152.085 —		
ბათომში	48.300 —	265.807 —	507.544 —
VI. დებიტორები:			
ირიცხება სხვა და სხვა პირზე და დაწესებულებებზე			5.773.886 96
VII. გადამავალი თანხები:			
გადახდილია 1920 წ. ანგარიშში			48.316 66
ბ ა ლ ა ნ ს ი			29.627.250 94

პასივი.

I. ძირითადი თანხა	5.000.000 —
II. მიმდინარე სპეციალი ანგარიშები:	
აღებული სესხი საქონლის საბუთით	13.046.355 54
III. კრედიტორებს:	
ერგებათ სხვა და სხვა პირებსა და დაწესებულებებს	6.671.482 96
IV. გარდამავალი თანხები:	
გადასახდელია 1920 წელში 1919 წ. ანგარიშში	2.196.044 80
წმინდა მოგება	2.713.368 34
ბ ა ლ ა ნ ს ი	29.627.250 94

გამგეობის თავმჯდომარე ი. კ. **ყაუხჩილვილი.**

წევრები: **ვ. ნ. ცინცაძე**, **მ. ლ. ბიბერშანი**, **ზ. გ. ფირუზლავა**

ბუჰხალტერი **ხ. ლ. იამპოლსკი.**

1918—1919 წ. მოგების ანგარიშიდან:

საერთო მოგება	6.301.698 11
სხვა და სხვა ხარჯები	3.588.329 77
წმინდა მოგება	2.713.368 34

ამა წლის ივნისის 20-ს, საქციონერო საზოგადოების საერთო კრების დადგენილებიდან წმინდა მოგებიდან ამონაწერი:

მიწერილია ფრონტისათვის	300.000 —
მაისის 26 ფონდისათვის	50.000 —
გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის	50.000 —
დივიდენდად გასანაწილებელი	1.899.900 —

დივიდენდი არ დარიგდეს, ხოლო კუპონები 1919 წ. ჩაითვალოს გადახდილად.

870 1—1

სახელმწიფო სტამბა

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი**